ბ. 18 წელს ზემოთ.

11. როგორია სასამართლო პრაქტიკა მეუღლის გაუპატიურებასთან დაკავშირებით?

12. მოგვაწოდეთ სტატისტიკური ინფორმაცია **თავისუფლების უკანონო აღკვეთის** საქმეებზე. რამდენი საქმე იქნა განხილული სასამართლოში მითითებული წლების განმავლობაში? მათ შორის:

- არასრულწლოვნის მიმართ?
- ორსული ქალის მიმართ?
- ცოლად შერთვის მიზნით?
- რამდენი საქმე დასრულდა საპროცესო შეთანხმებით?
- რამდენ საქმეზე იქნა გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი?
- რამდენ საქმეზე იქნა გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი?
- რამდენ განსასჯელს შეეფარდა პირობითი სასჯელი?
- რამდენს შეეფარდა სასჯელის სახით ჯარიმა?
- რამდენს შეეფარდა სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა?
- სასჯელი რა ზომები იქნა კიდევ გამოყენებული (მოგვაწოდეთ სტატისტიკური ინფორმაცია თითოეულის მიხედვით)?

13. მოგვაწოდეთ სტატისტიკური ინფორმაცია ოჯახის წევრების მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე. რამდენი საქმე იქნა განხილული სასამართლოში მითითებული წლების განმავლობაში? მათგან:

- ვინ უფრო ხშირად ჩადის ამ სახის დანაშაულს (ქალი თუ მამაკაცი)? მოგვაწოდეთ რაოდენობრივი ან პროცენტული მაჩვენებელი.
- რამდენი საქმე დასრულდა საპროცესო შეთანხმებით?
- რამდენ საქმეზე იქნა გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი?
- რამდენ საქმეზე იქნა გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი?
- სასჯელის რა სახეები იქნა გამოყენებული დამნაშავეების მიმართ (მოგვაწოდეთ სტატისტიკური ინფორმაცია სასჯელის თითოეული სახეობის მიხედვით)?

14. მოგვაწოდეთ სტატისტიკური ინფორმაცია, ოჯახური ძალადობის საქმეებზე რამდენი საქმე იქნა განხილული სასამართლოში მითითებული წლების განმავლობაში? მათ შორის:

- ქალის მიმართ?
- ორსული ქალის მიმართ?
- არასრულწლოვნის მიმართ?
- მამაკაცის მიმართ?
- რამდენი საქმე დასრულდა საპროცესო შეთანხმებით?
- რამდენ საქმეზე იქნა გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი?
- რამდენ საქმეზე იქნა გამორანილი გამამართლებელი განაჩენი?

- რამდენ განსასჯელს შეეფარდა პირობითი სასჯელი?
- სასჯელის რა სახეები იქნა გამოყენებული დამნაშავეების მიმართ (მოგვაწოდეთ სტატისტიკური ინფორმაცია სასჯელის თითოეული სახეობის მიხედვით)?

15. არის თუ არა სამუშაო ადგილზე სექსუალური იძულების თაობაზე განხილული საქმეები? თუ კი:

- რა რაოდენობის?
- რამდენი საქმე დასრულდა საპროცესო შეთანხმებით?
- რამდენ საქმეზე იქნა გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი?
- რამდენ საქმეზე იქნა გამორანილი გამამართლებელი განაჩენი?
- რამდენ განსასჯელს შეეფარდა პირობითი სასჯელი?
- სასჯელის რა სახეები იქნა გამოყენებული დამნაშავეების მიმართ (მოგვაწოდეთ სტატისტიკური ინფორმაცია სასჯელის თითოეული სახეობის მიხედვით)?
- ვინ უფრო ხშირად ჩადის ამ სახის დანაშაულს (ქალი თუ მამაკაცი)? მოგვაწოდეთ რაოდენობრივი ან პროცენტული მაჩვენებელი.
- როგორია ამ დანაშაულების მსხვერპლთა გენდერული მაჩვენებელი?

16. მოგვაწოდეთ სტატისტიკური ინფორმაცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულების საქმეებზე. რამდენი საქმე იქნა განხილული სასამართლოში მითითებული წლების განმავლობაში? მათ შორის:

- ქალთა მიმართ;
- არასრულწლოვანთა მიმართ;
- ვინ უფრო ხშირად ჩადის ამ სახის დანაშაულს (ქალი თუ მამაკაცი)? მოგვაწოდეთ რაოდენობრივი ან პროცენტული მაჩვენებელი.
- რამდენი საქმე დასრულდა საპროცესო შეთანხმებით?
- რამდენ საქმეზე იქნა გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი?
- რამდენ საქმეზე იქნა გამორანილი გამამართლებელი განაჩენი?
- რამდენ განსასჯელს შეეფარდა პირობითი სასჯელი?
- სასჯელის რა სახეები იქნა გამოყენებული დამნაშავეების მიმართ (მოგვაწოდეთ სტატისტიკური ინფორმაცია სასჯელის თითოეული სახეობის მიხედვით)?

17. არის თუ არა სქესობრივი ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციაზე განხილული საქმეები? თუ კი:

- რა რაოდენობის?
- რომელი სქესის მიმართ უფრო ხშირია დისკრიმინაციის ფაქტები და რომელ სფეროში (მოგვაწოდეთ სტატისტიკური ინფორმაცია სფეროების მიხედვით)?
- სასამართლოში განხილულ საქმეთაგან:
    - ა. რამდენი საქმე დასრულდა საპროცესო შეთანხმებით?
    - ბ. რამდენ საქმეზე იქნა გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი?

გ. რამდენ საქმეზე იქნა გამორანილი გამამართლებელი განაჩენი?

დ. რამდენ განსასჯელს შეეფარდა პირობითი სასჯელი?

ე. სასჯელის რა სახეები იქნა გამოყენებული დამნაშავეების მიმართ (მოგვაწოდეთ სტატისტიკური ინფორმაცია სასჯელის თითოეული სახეობის მიხედვით)?

## სამოქალაქო სამართალწარმოება

18. რამდენად ხშირად არის მხარე წარმოდგენილი:

- სახაზინო ადვოკატით;
- კერძო ადვოკატით;
- არასამთავრობო ორგანიზაციით.

(პასუხი მიუთითეთ რაოდენობრივად და პროცენტულად)

როგორია ეს სტატისტიკა გენდერულ ჭრილში (მიუთითეთ ცალ-ცალკე)?

19. არსებობს თუ არა სასამართლო პრეცედენტი ოჯახში პასუხისმგებლობის ან ბავშვების მოვლასთან დაკავშირებით მოვალეობათა არათანაბარი გადანაწილების შესახებ?
    - როგორ დამთავრდა ეს საქმეები? მოიყვანეთ სტატისტიკა.
20. ვინ უფრო ხშირად მიმართავს სასამართლოს განქორწინებისას წარმოშობილი დავის გადასაწყვეტად – ქალი თუ მამაკაცი?
    - მოიყვანეთ სტატისტიკა.
21. ძირითადად რა სახის დავები არსებობს მეუღლეებს შორის განქორწინებისას? ჩამოთვალეთ.
22. განქორწინების შემთხვევაში სასამართლოს მიერ მხედველობაში მიიღება თუ არა წვლილი ოჯახური საქმიანობის გაძღოლაში და შრომის სხვა არაანაზღაურებადი ფორმები?
    - თუ კი, რა სახით?
    - როგორია სასამართლო პრაქტიკა?
23. სასამართლოს გადაწყვეტილებით რამდენ მშობელს ჩამოერთვა მშობლის უფლება. რამდენია მათ შორის ქალი/კაცი.
24. ალიმენტის დაწესებისას რა კრიტერიუმებს ითვალისწინებს სასამართლო? ჩამოთვალეთ. როგორია სასამართლო პრაქტიკა?
25. როგორია პრაქტიკაში მშობლის მიმართ სასამართლოს მიერ დაწესებული ალიმენტის მინიმალური და მაქსიმალური ზღვარი?
26. როგორია სასამართლოს მიერ დაწესებული ალიმენტის მინიმალური და მაქსიმალური ზღვარი ისეთი მშობლის მიმართ, რომელსაც არ გააჩნია ოფიციალური შემოსავალი?
27. განქორწინებისას ბავშვის იმ მშობლისათვის მიკუთვნების შემთხვევაში, რომელსაც არა აქვს საცხოვრებელი ადგილი, როგორ ხდება მისი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა?
28. პრაქტიკაში როგორ ხდება განქორწინების შემთხვევაში მეუღლეთა რჩენის საკითხის გადაწყვეტა, რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს სასამართლო აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას?

# საქართველოს უზენაეს სასამართლოს

***გთხოვთ, კითხვებზე პასუხისას მოგვაწოდოთ თქვენს ხელთ არსებული სტატისტიკური ინფორმაცია 2006-2008 წწ. და ცალ-ცალკე მიუთითოთ ინფორმაცია როგორც წლების, ისე სქესის მიხედვით.***

***მაგ.***

| 2006 | | 2007 | | 2008 | |
|---|---|---|---|---|---|
| ქალი | მამაკაცი | ქალი | მამაკაცი | ქალი | მამაკაცი |

1. არის თუ არა უზენაეს სასამართლოში სტრუქტურული ქვედანაყოფი ან თანამდებობის პირი, რომელიც დაკავებულია გენდერული თანასწორობის პრობლემატიკით?
   - ა. თუ კი, რა სახელწოდებით და რა ფუნქციები აკისრია?
   - ბ. გთხოვთ, დეტალური ინფორმაცია მოგვაწოდოთ მისი საქმიანობის შესახებ.
2. რამდენად არის დაცული გენდერული თანასწორობის ბალანსი უზენაეს სასამართლოს თანამშრომლებს შორის და რა ღონისძიებებს მიმართავთ მის მისაღწევად?
3. მოგვაწოდეთ უზენაეს სასამართლოს თანამშრომელ ქალთა და მამაკაცთა თანაფარდობა.
4. თუ თანამშრომლობთ გენდერულ პრობლემატიკაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან?
   - ა. თუ კი, რომელ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და რა ფორმით?
5. მიგიღიათ თუ არა რეკომენდაციები რომელიმე სახელმწიფო ან არასამთავრობო სტრუქტურისაგან გენდერულად მგრძნობიარე სასამართლო პრაქტიკასთან დაკავშირებით?
   - ა. თუ კი, როდის და ვისგან?
   - ბ. რამდენად გაითვალისწინეთ და რა ფორმით?
6. გაქვთ თუ არა თქვენს უწყებაში შემუშავებული რეკომენდაციები გენდერულად მგრძნობიარე სასამართლო პრაქტიკასთან დაკავშირებით საკანონმდებლო და/ან აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის?
   - ა. თუ კი, რომელი უწყებისათვის?
   - ბ. რა სახის?
   - გ. რომელი მათგანი იქნა გათვალისწინებული? როდის?

**სისხლის სამართალწარმოება**

7. სასამართლო პრაქტიკაში განაჩენის გამოტანის დროს რამდენად ხშირად განიხილება შემამსუბუქებელ გარემოებად, როდესაც განსასჯელ ქალს ჰყავს მცირეწლოვანი შვილ(ებ)ი?
   - არის თუ არა ამგვარი დამოკიდებულება მამაკაც განსასჯელებთან მიმართებაში?
8. რამდენად ხშირად არის დაცვის მხარე წარმოდგენილი
   - სახაზინო ადვოკატით;
   - კერძო ადვოკატით;

- არასამთავრობო ორგანიზაციით.

(პასუხი მიუთითეთ რაოდენობრივად და პროცენტულად)

როგორია ეს სტატისტიკა გენდერულ ჭრილში (მიუთითეთ ცალ-ცალკე)?

9. მოგვაწოდეთ სტატისტიკური მონაცემები **სქესობრივი დანაშაულების** შესახებ. რამდენი საქმე იქნა განხილული სასამართლოში მითითებული წლების განმავლობაში? მათგან:

   - რამდენი საქმე დასრულდა საპროცესო შეთანხმებით?
   - რამდენ საქმეზე იქნა გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი?
     - ა. ქალის მიმართ;
     - ბ. მამაკაცის მიმართ.
   - რამდენ საქმეზე იქნა გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი?
   - რამდენ განსასჯელს შეეფარდა პირობითი სასჯელი?
   - რამდენს შეეფარდა სასჯელის სახით ჯარიმა?
   - რამდენს შეეფარდა სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა?
   - როგორია ამ დანაშაულების მსხვერპლთა გენდერული მაჩვენებელი?
     - ა. 18 წლამდე;
     - ბ. 18 წელს ზემოთ.

10. მოგვაწოდეთ სტატისტიკური ინფორმაცია კონკრეტულად **გაუპატიურების** საქმეებზე. რამდენი საქმე იქნა განხილული სასამართლოში მითითებული წლების განმავლობაში? მათ შორის:

    - არასრულწლოვნის მიმართ?
    - ორსული ქალის მიმართ?
    - ცოლად შერთვის მიზნით?
    - რამდენი საქმე დასრულდა საპროცესო შეთანხმებით?
    - რამდენ საქმეზე იქნა გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი?
    - რამდენ საქმეზე იქნა გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი?
    - რამდენ განსასჯელს შეეფარდა პირობითი სასჯელი?
    - რამდენს შეეფარდა სასჯელის სახით ჯარიმა?
    - რამდენს შეეფარდა სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა?
    - როგორია ამ დანაშაულების მსხვერპლთა გენდერული მაჩვენებელი?
      - ა. 18 წლამდე;
      - ბ. 18 წელს ზემოთ.

11. როგორია სასამართლო პრაქტიკა მეუღლის გაუპატიურებასთან დაკავშირებით?

12. მოგვაწოდეთ სტატისტიკური ინფორმაცია **თავისუფლების უკანონო აღკვეთის** საქმეებზე. რამდენი საქმე იქნა განხილული სასამართლოში მითითებული წლების განმავლობაში? მათ შორის:

- არასრულწლოვნის მიმართ?
- ორსული ქალის მიმართ?
- ცოლად შერთვის მიზნით?
- რამდენი საქმე დასრულდა საპროცესო შეთანხმებით?
- რამდენ საქმეზე იქნა გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი?
- რამდენ საქმეზე იქნა გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი?
- რამდენ განსასჯელს შეეფარდა პირობითი სასჯელი?
- რამდენს შეეფარდა სასჯელის სახით ჯარიმა?
- რამდენს შეეფარდა სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა?
- სასჯელი რა ზომები იქნა კიდევ გამოყენებული (მოგვაწოდეთ სტატისტიკური ინფორმაცია თითოეულის მიხედვით)?

13. მოგვაწოდეთ სტატისტიკური ინფორმაცია ოჯახის წევრების მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე. რამდენი საქმე იქნა განხილული სასამართლოში მითითებული წლების განმავლობაში? მათგან:

- ვინ უფრო ხშირად ჩადის ამ სახის დანაშაულს (ქალი თუ მამაკაცი)? მოგვაწოდეთ რაოდენობრივი ან პროცენტული მაჩვენებელი.
- რამდენი საქმე დასრულდა საპროცესო შეთანხმებით?
- რამდენ საქმეზე იქნა გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი?
- რამდენ საქმეზე იქნა გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი?
- სასჯელის რა სახეები იქნა გამოყენებული დამნაშავეების მიმართ (მოგვაწოდეთ სტატისტიკური ინფორმაცია სასჯელის თითოეული სახეობის მიხედვით)?

14. მოგვაწოდეთ სტატისტიკური ინფორმაცია, ოჯახური ძალადობის საქმეებზე რამდენი საქმე იქნა განხილული სასამართლოში მითითებული წლების განმავლობაში? მათ შორის:

- ქალის მიმართ?
- ორსული ქალის მიმართ?
- არასრულწლოვნის მიმართ?
- მამაკაცის მიმართ?
- რამდენი საქმე დასრულდა საპროცესო შეთანხმებით?
- რამდენ საქმეზე იქნა გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი?
- რამდენ საქმეზე იქნა გამორანილი გამამართლებელი განაჩენი?
- რამდენ განსასჯელს შეეფარდა პირობითი სასჯელი?

- სასჯელის რა სახეები იქნა გამოყენებული დამნაშავეების მიმართ (მოგვაწოდეთ სტატისტიკური ინფორმაცია სასჯელის თითოეული სახეობის მიხედვით)?

15. არის თუ არა სამუშაო ადგილზე სექსუალური იძულების თაობაზე განხილული საქმეები? თუ კი:

- რა რაოდენობის?
- რამდენი საქმე დასრულდა საპროცესო შეთანხმებით?
- რამდენ საქმეზე იქნა გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი?
- რამდენ საქმეზე იქნა გამორანილი გამამართლებელი განაჩენი?
- რამდენ განსასჯელს შეეფარდა პირობითი სასჯელი?
- სასჯელის რა სახეები იქნა გამოყენებული დამნაშავეების მიმართ (მოგვაწოდეთ სტატისტიკური ინფორმაცია სასჯელის თითოეული სახეობის მიხედვით)?
- ვინ უფრო ხშირად ჩადის ამ სახის დანაშაულს (ქალი თუ მამაკაცი)? მოგვაწოდეთ რაოდენობრივი ან პროცენტული მაჩვენებელი.
- როგორია ამ დანაშაულების მსხვერპლთა გენდერული მაჩვენებელი?

16. მოგვაწოდეთ სტატისტიკური ინფორმაცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულების საქმეებზე. რამდენი საქმე იქნა განხილული სასამართლოში მითითებული წლების განმავლობაში? მათ შორის:

- ქალთა მიმართ;
- არასრულწლოვანთა მიმართ;
- ვინ უფრო ხშირად ჩადის ამ სახის დანაშაულს (ქალი თუ მამაკაცი)? მოგვაწოდეთ რაოდენობრივი ან პროცენტული მაჩვენებელი.
- რამდენი საქმე დასრულდა საპროცესო შეთანხმებით?
- რამდენ საქმეზე იქნა გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი?
- რამდენ საქმეზე იქნა გამორანილი გამამართლებელი განაჩენი?
- რამდენ განსასჯელს შეეფარდა პირობითი სასჯელი?
- სასჯელის რა სახეები იქნა გამოყენებული დამნაშავეების მიმართ (მოგვაწოდეთ სტატისტიკური ინფორმაცია სასჯელის თითოეული სახეობის მიხედვით)?

17. არის თუ არა სქესობრივი ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციაზე განხილული საქმეები? თუ კი:

- რა რაოდენობის?
- რომელი სქესის მიმართ უფრო ხშირია დისკრიმინაციის ფაქტები და რომელ სფეროში (მოგვაწოდეთ სტატისტიკური ინფორმაცია სფეროების მიხედვით)?
- სასამართლოში განხილულ საქმეთაგან:
    - ა. რამდენი საქმე დასრულდა საპროცესო შეთანხმებით?
    - ბ. რამდენ საქმეზე იქნა გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი?

გ. რამდენ საქმეზე იქნა გამორანილი გამამართლებელი განაჩენი?

დ. რამდენ განსასჯელს შეეფარდა პირობითი სასჯელი?

ე. სასჯელის რა სახეები იქნა გამოყენებული დამნაშავეების მიმართ (მოგვაწოდეთ სტატისტიკური ინფორმაცია სასჯელის თითოეული სახეობის მიხედვით)?

## სამოქალაქო სამართალწარმოება

18. რამდენად ხშირად არის მხარე წარმოდგენილი:
    - სახაზინო ადვოკატით;
    - კერძო ადვოკატით;
    - არასამთავრობო ორგანიზაციით.

    (პასუხი მიუთითეთ რაოდენობრივად და პროცენტულად)

    როგორია ეს სტატისტიკა გენდერულ ჭრილში (მიუთითეთ ცალ-ცალკე)?

19. არსებობს თუ არა სასამართლო პრეცედენტი ოჯახში პასუხისმგებლობის ან ბავშვების მოვლასთან დაკავშირებით მოვალეობათა არათანაბარი გადანაწილების შესახებ?
    - როგორ დამთავრდა ეს საქმეები? მოიყვანეთ სტატისტიკა.

20. ვინ უფრო ხშირად მიმართავს სასამართლოს განქორწინებისას წარმოშობილი დავის გადასაწყვეტად – ქალი თუ მამაკაცი?
    - მოიყვანეთ სტატისტიკა.

21. ძირითადად რა სახის დავები არსებობს მეუღლეებს შორის განქორწინებისას? ჩამოთვალეთ.

22. განქორწინების შემთხვევაში სასამართლოს მიერ მხედველობაში მიიღება თუ არა წვლილი ოჯახური საქმიანობის გაძღოლაში და შრომის სხვა არაანაზღაურებადი ფორმები?
    - თუ კი, რა სახით?
    - როგორია სასამართლო პრაქტიკა?

23. სასამართლოს გადაწყვეტილებით რამდენ მშობელს ჩამოერთვა მშობლის უფლება. რამდენია მათ შორის ქალი/კაცი.

24. ალიმენტის დაწესებისას რა კრიტერიუმებს ითვალისწინებს სასამართლო? ჩამოთვალეთ. როგორია სასამართლო პრაქტიკა?

25. როგორია პრაქტიკაში მშობლის მიმართ სასამართლოს მიერ დაწესებული ალიმენტის მინიმალური და მაქსიმალური ზღვარი?

26. როგორია სასამართლოს მიერ დაწესებული ალიმენტის მინიმალური და მაქსიმალური ზღვარი ისეთი მშობლის მიმართ, რომელსაც არ გააჩნია ოფიციალური შემოსავალი?

27. განქორწინებისას ბავშვის იმ მშობლისათვის მიკუთვნების შემთხვევაში, რომელსაც არა აქვს საცხოვრებელი ადგილი, როგორ ხდება მისი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა?

28. პრაქტიკაში როგორ ხდება განქორწინების შემთხვევაში მეუღლეთა რჩენის საკითხის გადაწყვეტა, რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს სასამართლო აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას?

# საკონსტიტუციო სასამართლოს

***გთხოვთ, კითხვებზე პასუხისას მოგვაწოდოთ თქვენს ხელთ არსებული სტატისტიკური ინფორმაცია 2006-2008 წწ. და ცალ-ცალკე მიუთითოთ ინფორმაცია როგორც წლების, ისე სქესის მიხედვით.***

***მაგ.:***

| 2006 | | 2007 | | 2008 | |
|---|---|---|---|---|---|
| ქალი | მამაკაცი | ქალი | მამაკაცი | ქალი | მამაკაცი |

1. არის თუ არა საკონსტიტუციო სასამართლოში სტრუქტურული ქვედანაყოფი ან თანამდებობის პირი, რომელიც დაკავებულია გენდერული თანასწორობის პრობლემატიკით?
    - თუ კი, რა სახელწოდებით და რა ფუნქციები აკისრია?
    - გთხოვთ, დეტალური ინფორმაცია მოგვაწოდოთ მისი საქმიანობის შესახებ.
2. რამდენად არის დაცული გენდერული თანასწორობის ბალანსი სასამართლოში და რა ღონისძიებებს მიმართავთ მის მისაღწევად?
3. მოგვაწოდეთ სასამართლოს თანამშრომელ ქალთა და მამაკაცთა თანაფარდობა.
4. მიგიღიათ თუ არა რეკომენდაციები რომელიმე სახელმწიფო ან არასამთავრობო სტრუქტურისაგან გენდერულად მგრძნობიარე სასამართლო პრაქტიკასთან დაკავშირებით?
    ა. თუ კი, როდის და ვისგან?
    ბ. რამდენად გაითვალისწინეთ და რა ფორმით?
5. გაქვთ თუ არა თქვენს უწყებაში შემუშავებული რეკომენდაციები გენდერულად მგრძნობიარე სასამართლო პრაქტიკასთან დაკავშირებით საკანონმდებლო და/ან აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის?
    ა. თუ კი, რომელი უწყებისათვის?
    ბ. რა სახის?
    გ. რომელი მათგანი იქნა გათვალისწინებული? როდის?
6. განხილულა თუ არა საკონსტიტუციო სასამართლოში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საქმეები?
    - როგორია მათი განხილვის შედეგები?
7. ინფორმირებულია თუ არა საზოგადოება კონსტიტუციური უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის ოფიციალური გზების შესახებ?
    - თუ კი, რა ფორმით და როგორი სიხშირით?

8. არის თუ არა გარკვეული სახის შეზღუდვები ან შერჩევის კრიტერიუმები იმ პირთა მიმართ, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავენ საჩივრით (მაგ: მოქალაქეობა, ასაკი, სქესი)?

9. არსებობს თუ არა ფინანსური ან სხვა სახის შეზღუდვები იმ პირთათვის, რომლებსაც სურვილი აქვთ, მიმართონ სარჩელით საკონსტიტუციო სასამართლოს თავიანთი დარღვეული უფლებების თაობაზე?

10. სასამართლო პრაქტიკაში არსებობს თუ არა შემთხვევები, რომლებიც შეიძლება განხილული იქნეს, როგორც სისხლის, სამოქალაქო ან სხვა კოდექსის რომელიმე მუხლის დისკრიმინაციული ხასიათის შედეგი?

    - როგორია ასეთი საქმეების სასამართლოში განხილვის შედეგები?

11. არსებობს თუ არა სამსახურში გენდერული დისკრიმინაციის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევები?

    - როგორია ასეთი მიმართვების შედეგები?

# დანართი №4

სახელმწიფო უწყებებისგან მიღებული პასუხები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
THE DEPARTMENT OF PATROL POLICE

თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ.

53-70-20; 80-02
53-11-50, 41-30-10

13 km., Davit Agmashenebeli av., Tbilisi

№ 20/8-384 „21" 01 2009 წ.

კავკასიის ქალთა ქსელის თავმჯდომარეს
ქალბატონ **ნინო ციხისთავს**

მის: თბილისი, ლადო ასათიანის №10, ტ:98 86 95.

*ქალბატონო ნინო,*

გაცნობებთ, რომ თქვენი 2009 წლის 13 იანვრის №გ-14 წერილი გადაგზავნილია საქართველოს შ.ს.ს. ადმინისტრაციაში.

*პატივისცემით,*

*ანალიზისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი:* კახა ონიანი

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი

MINISTRY OF PENITENTIARY, PROBATION AND LEGAL AID AFFAIRS OF GEORGIA
DEPARTMENT OF PRISONS

№ 10/8/11-1327                                                   4. 03 2009.

კავკასიის ქალთა ქსელის თავმჯდომარეს
ქალბატონ ნინო ციხისთავს

ქალბატონო ნინო,

მიმდინარე წლის 9 თებერვალს სასჯელაღსრულების დეპარტამენტში შემოვიდა თქვენი წერილი, რომლის პასუხად გიგზავნით შემდეგ მონაცემებს:

1. საქართველოში არის ერთი ქალთა და არასრულწლოვანთა N5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულება. ამასთანავე, 3 სასჯელაღსრულების დაწესებულება, სადაც მამაკაც მსჯავრდებულებთან ერთად, შესაბამისად, მხოლოდ ქალთათვის განკუთვნილ საკნებში განთავსებულნი არიან ქალი პატიმრები. ესენია: ქუთაისის N2 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება, ბათუმის N3 საპყრობილე და ზუგდიდის N4 საპყრობილე. სხვა ტიპის სასჯელაღსრულების დაწესებულება, სადაც ქალი პატიმრები იხდიან სასჯელს, საქართველოში არ არსებობს.

2. არასრულწლოვან ქალ მსჯავრდებულთა რაოდენობა:

2006წ – 6 მსჯავრდებული;

2007წ – 9 მსჯავრდებული;

2008წ – 11 მსჯავრდებული.

3. ქალ მსჯავრდებულთა დაახლოებით 10.2% შეადგენს უცხო ქვეყნის მოქალაქეები.

4. ქალთა და არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში ფუნქციონირებს და მიმდინარეობს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამები:

- მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამა ს.ს.ი.პ თბილისის პროფესიული სწავლების ცენტრის "სპექტრი" მიერ, სადაც მსჯავრდებულები შეისწავლიან მკერავ და გამომჭრელ მოდელიორის სპეციალობას. სასწავლო კურსი მიმდინარეობს 6 თვე. შექმნილია 2 სასწავლო ჯგუფი 40 მსჯავრდებულის შემადგენლობით.
- ასოციაცია "ქალი და ბიზნესი" – პროექტის მიზანია პატიმარ ქალთა პროფესიული გადამზადება. პროექტი დაწყებულია, 15.09.2008წ. მიმდინარეობდა მეცადინეობა თემაზე "წამოიწყე საკუთარი ბიზნესი", მოხდა როგორც ტრენინგებისთვის განკუთვნილი ოთახის, აგრეთვე პრაქტიკული მეცადინეობების ოთახის გარემონტება და აღჭურვა. პროგრამაში ჩაბმული იყო 20 მსჯავრდებული, რომლებმაც კურსის დასრულების შემდეგ მიიღეს სერთიფიკატები.
- 13.10.2008წ – 29.11.2008წ მიმდინარეობდა კურსი "ტურიზმის მენეჯმენტი", რომელშიც ჩაბმული იყო 20 მსჯავრდებული, რომლებმაც კურსის დასრულების შემდეგ მიიღეს შესაბამისი სერთიფიკატები.

მის: თბილისი, გორგასლის ქ. №83ა, 0105. Address: 83a Gorgasali str., Tbilisi, 0105, Georgia
ტელ:/Tel.: +995 32 75-23-85; +995 32 75-23-86; ფაქსი/Fax: +995 32 75-12-12
Web:http://www.dop.gov.ge E-mail: office@dop.gov.ge

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
**CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA**

№ 01/10-54 „16" 02 2009

კავკასიის ქალთა ქსელის თავმჯდომარეს
ქალბატონ ნინო ციხისთავს

ქალბატონო ნინო,

თქვენი, მ/წლის 28 იანვრის №გ-28 წერილის პასუხად გიგზავნით ინფორმაციას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გენდერული თანასწორობის შესახებ.

აპარატის უფროსი ქართლოს ყიფიანი

საქართველო, ბათუმი,
6010, კ. გამსახურდიას ქ. №8-10,
ტელ.: (+995888222) 7 0099
ფაქსი: (+995888222) 7 4210
E-mail: const@constcourt.ge
www.constcourt.ge

Batumi, Georgia
8 – 10, K. Gamsakhurdia Str., N 6010
Tel.: (+995888222) 7 0099
Fax: (+995888222) 7 4210
E – mail: const@constcourt.ge
www.constcourt.ge

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

Office of Public Defender of Georgia

9. 02. 2009

№ 388/09/0185-09

ნინო ციხისთავს

/ქ. თბილისი, ლადო ასათიანის ქ №10/

ქალბატონო ნინო,

სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა თქვენი განცხადება №0185-09, რომლითაც ითხოვთ გაეროს განვითარების პროგრამის რეგიონალური ბიუროს მიერ შედგენილ კითხვარებზე პასუხის გაცემას.

გიგზავნით სახალხო დამცველის აპარატის, თანასწორობისა და თავისუფლების სამმართველოსა და ადმინისტრაციისა და ფინანსურ სამსახურზე დაყრდნობით მოწოდებულ ინფორმაციას.

დანართი "3 ფურცელი"

პატივისცემით,

მოქალაქეთა მომართვებისა და
მიღების სამმარველოს უფროსი

ქ.საგინაშვილი

საქართველო, თბილისი 0105, მაჩაბლის ქუჩა 11 ტელეფონი: (+995 32) 922 479, ფაქსი: 922 470
11 Machabeli st., Tbilisi, Georgia , 0105 Tel.: (+995 32) 922 479, Fax.: 922 470

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

№ 06-02/837 „30“ იანვარი 2009

თქვენს № ______________

კავკასიის ქალთა ქსელის თავმჯდომარეს
ქალბატონ ნინო ციხისთავს

ქალბატონო ნინო,

თქვენი მ/წლის 13 იანვრის განცხადების პასუხად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავის „ინფორმაციის თავისუფლების“ მუხლების მოთხოვნების შესაბამისად, გაცნობებთ, რომ 2007 წლის მონაცემებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის მამაკაცთა რაოდენობა შეადგენდა 132, ხოლო ქალთა რაოდენობა - 154, 2008 წლის მონაცემებით მამაკაცთა რაოდენობა შეადგენდა 152, ხოლო ქალთა რაოდენობა - 171. 2009 წლის იანვრის მონაცემებით მამაკაცთა რაოდენობა შეადგენს 152, ხოლო ქალთა რაოდენობა - 175.

ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროგრამის ,,გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში (UNDP)“ დაფინანსებამ 2006 წელს შეადგინა 660.9 ათასი ლარი ( მათ შორის საბიუჯეტო სახსრები - 91.0 ათასი ლარი), ხოლო საკასო ხარჯმა - 560.9 ათასი ლარი ( მათ შორის საბიუჯეტო სახსრები 91.0 ათასი ლარი). 2007 წელს აღნიშნული პროგრამის დაფინანსებამ შეადგინა 775.0 ათასი ლარი ( მათ შორის საბიუჯეტო სახსრები - 175.0 ათასი ლარი), ხოლო საკასო ხარჯმა - 769.9 ათასი ლარი ( მათ შორის საბიუჯეტო სახსრები - 175.0 ათასი ლარი. 2008 წელს აღნიშნული პროგრამა ბიუჯეტიდან არ დაფინანსებულა.
- სახელმწიფო სექტორში დასაქმებულ მოსამსახურეთა თანამდებობრივი განაკვეთები სქესის მიხედვით არ არის დაყოფილი, შესაბამისად ქალთა და მამაკაცთა შრომის ანაზღაურება თანატოლია.
- სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში გათვალისწინებული არ არის ქალთა ორგანიზაციების დაფინანსება.

საქართველოს კანონი ,,საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ არ ითვალისწინებს გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის შექმნას. შესაბამისად არ არსებობს კონკრეტული ინსტრუმენტი გენდერული ბიუჯეტის შესამუშავებლად.

ქ. თბილისი 0114, გ. გორგასლის ქ. №16, ტელ.: 446412, ფაქსი: 457442, ელ-ფოსტა: info@mof.ge
16 Gorgasali Street, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: 446412, Fax: 457442. E-mail: info@mof.ge

27.01.09 5-კ

ქალბატონ ნინო ციხისთავს
კავკასიის ქალთა ქსელის თავმჯდომარეს

*(თქვენი 2009 წლის 12 იანვრის წერილის პასუხად)*

ქალბატონო ნინო,

საქართველოს საერთო სასამართლოების სტატისტიკური ანგარიშგების კვარტალური და წლიური ფორმები არ ითვალისწინებენ თქვენს მიერ მოთხოვნილ მონაცემებს. აღნიშნული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოებიდან მიღებული სისხლის სამართლის საქმეებზე სტატისტიკური ბარათების კომპიუტერული ბაზიდან, საიდანაც მონაცემების დამუშავება მოითხოვს გარკვეულ დროს.

ამჟამად მიმდინარეობს სასამართლოების 2008 წლის წლიური სტატისტიკური ანგარიშების დამუშავება, ამიტომ თქვენს მიერ მოთხოვნილი სტატისტიკური მონაცემები მოგეწოდებათ თებერვლის დასაწყისში.

პატივისცემით,

თეიმურაზ გოგბერაშვილი
საჯარო ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელი პირი,
სასამართლო სტატისტიკისა და ინფორმატიზაციის
განყოფილების უფროსი

## რეინტეგრაციის საკითხებში
## საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

## OFFICE OF THE STATE MINISTER OF GEORGIA
ON REINTEGRATION

№ 4-11/43
22-01.2009

კავკასიის ქალთა ქსელის თავჯდომარეს,
ქალბატონ ნინო ციხისთავს

ქალბატონო ნინო,

თქვენი წერილის № გ-3 შესაბამისად, გაცნობებთ რომ საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, არის რა საქართველოს მთავრობის სრულუფლებიანი წევრი და მოქმედებს საქართველოს სახელმწიფოს სახელით თავისი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას, იცავს საქართველოს მიერ აღებულ ყველა საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებას.

ქალთა უფლებების დაცვა: ჩვენ აპარატში არსებობს სამოქალაქო ინტეგრაციის სამმართველო, რომელიც ახორციელებს სამოქალაქო ინტეგრაციას და უშუალოდ მუშაობს ადამინის უფლებების დაცვაზე საქართველოში მოქმედ ყველა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციასთან რეგულარული შეხვედრებისა და ინფორმაციის გაცვლის მეშვეობით (ეუთო, გაერო, საერთაშორისო წითელი ჯვარი და ა.შ). ქალები უშუალოდ მონაწილეობენ სამშვიდობო პროცესის ინიცირებასა და წარმართვაში. ქალთა უფლებების დაცვით საქართველოში დაკავებულია არასამთავრობო ორგანიზაცია კვინა ტილლ კვინა (Kvinna Till Kvina).

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ ჩვენი აპარატი ადამიანის უფლებების გამოვლენილ დარღვევების შესახებ რეგულარულად ატარებს შეხვედრებს საქართველოში მყოფ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რათა მათ მოახდინონ შესაბამისი რეაგირება. ასევე, ჩვენი აპარატი მჭიდროდ თანამშრომლობს სახელმწიფოს სხვა შესაბამის უწყებებთან: შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან.

რაც შეეხება ქალთა უფლებების დარღვევას: ოკუპირებულ ტერიტორიებზე და კონფლიქტის ზონებში ქალებზე (გოგონებზე) სექსუალური ძალადობის ფაქტებს სამშვიდობო კონტიგენტის მხრიდან, ასევე სტატისტიკის და რეაბილიტაციის პროგრამის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, მიმართეთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

თქვენს კითხვაზე დაცულია თუ არა გენდერული ბალანსი სახელმწიფო მინისტრის აპარატში, გაცნობებთ, რომ დასაქმებულ ქალთა რიცხვი 45 თანამშრომლიდან შეადგენს 22-ს. მათი თანამდებობებია: სახელმწიფო მინისტრის მოადგილე (1), სამმართველოს უფროსი (4), სახელმწიფო მინისტრის მრჩეველი (1), საქმეთა მმართველი (1), მთავარი ბუღალტერი (1), მთავარი სპეციალისტი (7), უფროსი სპეციალისტი (4) და აღმასრულებელი თანაშემწე (3).

პატივისცემით,

დავით რაქვიაშვილი

სახელმწიფო მინისტრის მოადგილე

0105 თბილისი, ინგოროყვას ქ. 7 0105 Tbilisi, Ingorokva Str. 7 ტელ./Tel.: (995 32) 92 18 91, ფაქსი/Fax: 92 16 50

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
**GEORGIA**

თავდაცვის სამინისტრო
იურიდიული დეპარტამენტი

„21“ № 8/1884
„21“ „03“ 2009წ.

კავკასიის ქალთა ქსელის
თავჯდომარეს ქალბატონ **ნინო ციხისთავს**

ქალბატონო ნინო,

თქვენი 2009 წლის 13 იანვრის №გ-17 (№8-146 16.01.09წ.) წერილის პასუხად, მოგაწოდებთ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში (შემდგომში – სამინისტრო) გენდერული თანასწორობის შესახებ ამჟამად არსებულ შემდეგ ინფორმაციას:

- გენდერული თანასწორობის მიმართულებით საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აღებული არ აქვს. ამასთან, სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებები ზოგადად ვრცელდება ყველა უწყებებზე;
- სამინისტროში არ არის სტრუქტურული ქვედანაყოფი, ან თანამდებობის პირი, რომელიც დაკავებული იქნებოდა გენდერული თანასწორობის საკითხებით;
- სამინისტრო არ თანამშრომლობს გენდერულ პრობლემატიკაზე მომუშავე არცერთ არასამთავრობო ორგანიზაციებთან;
- სამინისტროს სამხედრო აკადემიაში, ასევე საქართველოს შეიარაღებული ძალების ნებისმიერ სტრუქტურულ ქვედანაყოფში ჩარიცხვისას, ქალთა მიმართ არავითარი შეზღუდვები არ არსებობს;
- სამინისტროს სამხედრო აკადემიაში, ქალების მიმართ რაიმე განსხვავებული კრიტერიუმები დაწესებული არ არის;

0112 ქ. თბილისი, გენერალ გ. ყვინიტაძის ქ. 20 ტელ./ფაქსი: (+995 32) 912195
20 General G. Kvinitadze Str. 0112, TBILISI, GEORGIA, Tel./Fax: (+995 32) 912195

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND INFRASTRUCTURE OF GEORGIA

№ 5/42
18 02 2009 წ

კავკასიის ქალთა ქსელის
თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო ციხისთავს

ქალბატონო ნინო,

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 16 იანვრის №გ-2 წერილი, რომელიც ეხებოდა გენდერული თანასწორობის საკითხებს. წარმოდგენილი კითხვარის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სტრუქტურა არ მოიცავს უშუალოდ გენდერული თანასწორობის პრობლემატიკაზე მომუშავე სტრუქტურულ ერთეულს

